პატიმართა პროფესიული განათლების ელსწავლების კონცეფცია

თინათინ ნერგაძე

სალომე ჩოლოყაშვილი

ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ინფორმაციის მენეჯერის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პროგრამა: ინფორმაციის მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნათია გაბრიჩიძე, მაგისტრი, ასისტენტ პროფესორი

დავით კიზირია, მაგისტრი, ასისტენტ პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

”როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

თინათინ ნერგაძე

სალომე ჩოლოყაშვილი

28.03.2014

აბსტრაქტი

ნაშრომის მიზანია, პატიმართა პროფესიული სწავლების ელკონცეფციის შემუშავება, რომელშიც განსაზღვრული იქნება ის გარემოებები, მეთოდები და ინსტრუმენტები რომლებიც გასათვალისწინებელია პატიმართა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ელსწავლების დანერგვისას.

ნაშრომი განიხილავს პატიმართა პროფესიული განათლების განხორციელების შესაძლებლობებს ელექტრონული სწავლების საშუალებით და აჩვენებს პატიმრებისთვის განათლების მნიშვნელობას, ამ სფეროში არსებული საკანონმდებლო რეგულაციებს და ის გარემოს, რომელშიც მიმდინარეობს პატიმართა განათლება. ნაშრომში საუბარია პატიმართათვის ელექტრონული სწავლების მნიშვნელობაზე და ამ მეთოდით განხორციელებული სწავლებისას წარმოქმნილი პრობლემების გადაწყვეტის გზებზე.

კვლევა დაფუძნებულია ავტორიტეტულ სამეცნიერო ნაშრომებს, პატიმართა განათლების პროცესში ჩართული პირების, ფსიქოლოგებისა და თავად პატიმარების ინტერვიუებს. ნაშრომში გამოყენებულია ამ სფეროში არსებული ოფიციალური სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშები და ნაჩვენებია საერთაშორისო გამოცდილება.

კვლევის შედეგებში წარმოჩენილია პატიმართა ელსწავლების დაგეგმვისას გასათვალისწინებელი გარემოებები. ასევე იდენტიფიცირებულია ელსწავლების ის მეთოდები და ინსტრუმენტები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია პატიმართათვის ეფექტიანი განათლების ხარჯეფექტურად მიწოდება.

ძირითადი საძიებო სიტყვები: პატიმართა განათლება, პატიმართა რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია, პატიმართა პროფესიული განათლება, ელსწავლება, პატიმართა

ელსწავლება, დისტანციური სწავლება, პატიმართა დისტანციური სწავლება, ელსწავლების ინსტრუმენტები, ელსწავლების მეთოდები.